



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში

აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

A handwritten signature in blue ink, appearing to be 'N. Khashidze', is written over a horizontal dashed line.

ნოე ქაშიზაძე

16 ივლისი 2014 წელი

რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატი

ფინანსური აუდიტის ანგარიში N10/129

2012 წლის 1 იანვარი - 2013 წლის 1 იანვარი

შინაარსი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე.....	3
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.....	4
ბალანსი და მასთან დაკავშირებული ანგარიშები	13

რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატის ხელმძღვანელობას

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატის (შემდეგში „მინისტრის აპარატი“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს: ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით - ბალანსის დანართი ფორმა №2, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №2-1, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №2-2, წმინდა ღირებულების შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №3, სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №4, ფულადი გრანტების შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №4-1, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №5, ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №6.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

მინისტრის აპარატის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე "საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ №364 ბრძანების შესაბამისად.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით, ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებული იქნას დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს

აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი მინისტრის აპარატის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოსატქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციას არასწორად და არასრულად აქვს წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი ფორმა N1, ფორმა N2, ფორმა N3 და ფორმა N5, კერძოდ:

სამინისტროს ხარჯები

2012 წლის ანგარიშში ბალანსის დანართი ფორმა N2-ში (ორგანიზაციის ანგარიშში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით) საერთო ხარჯების ყველა მონაცემი არასწორად არის წარმოდგენილი, კერძოდ არსწორად არის გაზრდილი (საერთო ხარჯებში ჩართულია არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების მონაცემები): დამტკიცებული გეგმა - 2,500.00 ლარით, ვალდებულება- 55,628.00 ლარით, მოთხოვნა, საკასო ხარჯი 55,552.16 ლარით და ფაქტობრივი ხარჯი -55,552.16 ლარით.

არაფინანსური აქტივები

2012 წელს ქ. თბილისში სამინისტროს აპარატის შენობის სამუშაო მდგომარეობაში შენახვისა და მიმდინარე შეკეთების ხარჯები - 29,258.24 ლარის ოდენობით, არასწორადაა განხორციელებული წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული „არაფინანსური აქტივები“-ს მუხლიდან და არამართებულად მიეკუთვნა (აღირიცხა) სამინისტროს ბალანსის მუხლს - „შენობები და ნაგებობები“ (აღნიშნული ხარჯები უნდა აღრიცხულიყო როგორც „საქონელი და მომსახურება“, კერძოდ „ოფისის ხარჯების“ კლასიფიკატორში). აღნიშნულით, 2013 წლის ბოლოს შენობა-ნაგებობების საბალანსო მუხლი, არასწორად არის გაზრდილი 29,258.24 ლარით; ამასთანავე ამ თანხით არასწორადაა როგორც გაზრდილი, ასევე შემცირებული საბიუჯეტო კლასიფიკატორის მუხლები შესაბამისად „არაფინანსური აქტივები“ და „საქონელი და მომსახურება“¹;

¹ „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 3013 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ კანონის მე-13 მუხლი (პროგრამული კოდი 0401); საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 23-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების, 24-ე მუხლის მე-15 პუნქტის და მე-16 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-17, მე-18 და მე-20 პუნქტების და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 25.08.2010 წლის N672 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის (ოფისის ხარჯები (223) და ძირითადი აქტივები (311)) მოთხოვნები.

პირობითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი 2012 წლის რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატის ფინანსური ანგარიშგება, გარდა წინა პარაგრაფში აღნიშნული საკითხისა, მთლიანად მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით და ყველა მნიშვნელოვანი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატის ფინანსურ მდგომარეობას 2012 წლის 31 დეკემბრისათვის.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

გვსურს, ყურადღება გავამახვილოთ შემდეგ გარემოებებზე:

პირველადი აღრიცხვის დოკუმენტების სისრულე

აუდიტის პერიოდში ექსპლუატაციაში გაცემულია მარაგები პირველადი აღრიცხვის დოკუმენტების (გასავლის ზედდებულები ან ჩამოწერის ან შესრულებული სამუშაოს აქტები ან სხვა) გაფორმების გარეშე, რომლებიც ასახავდნენ სამეურნეო მოვლენის მოხდენის ფაქტს. ასევე წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადებებისა და მიღება-ჩაბარების აქტების თანახმად გაწეულია ხარჯები ა/მანქანის და კომპიუტერების გამართვაზე, დიაგნოსტიკასა და შეკეთებაზე, თუმცა რიგ შემთხვევებში არაა წარმოდგენილი რაიმე სახის დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდებოდა კონკრეტულად, რომელ ა/მანქანას ან კომპიუტერს ჩაუტარდა რემონტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტიურად ვერ დასტურდება 1,336.00 ლარის ღირებულების მარაგების, ა/მანქანისა და კომპიუტერული ტექნიკის შენახვაზე გაწეული ხარჯების მიზანშეწონილობა და სისრულე².

ჰუმანიტარული ტვირთის აღრიცხვა

2012 წელს აფხაზეთის ა/რ რეგიონული მართვის საკითხებში მინისტრის აპარატს (მინისტრის აპარატი) მიღებული და გაცემული აქვს სხვადასხვა დასახელების ჰუმანიტარული ტვირთი.

კერძოდ, 2012 წელს ააიპ-ის „კეთილი სამარიელი საქართველოში“ მიერ მინისტრის აპარატზე გადმოცემულია დევნილი ბავშვებისათვის გადასაცემი ჰუმანიტარული ტვირთი: 454 სასაჩუქრე ყუთი და 40 კგ. შოკოლადი.

აღსანიშნავია, რომ ააიპ „კეთილი სამარინელი საქართველოში“ და სამინისტროს აპარატს შორის გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტებში დაფიქსირებული არ არის მიღებული ტვირთის ფასები, რაოდენობა და ყუთში არსებული საჩუქრების დეტალური/კონკრეტული დასახელება. შესაბამისად მოცემული ტვირთი სამინისტროს აპარატის მიერაც არ არის ბუღალტრულად (შესაბამისი გატარებებით) აღრიცხული. თუმცა ააიპ - „კეთილისამარიელი

² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ” ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა.

საქართველოში“ გარდა, ჰუმანიტარული ტვირთი მიღებულია შპს „ჯისი“, შპს და შპს „ბარამბოს“-გან. მიუხედავად იმისა, რომ ტვირთი მიღებულია სასაქონლო ზედნადებებით, სადაც დაფიქსირებულია მიღებული ტვირთის ფასები (სულ მიღებულია 4,360.30 ლარის ღირებულების ტვირთი), ამ შემთხვევებშიც არ არის აღრიცხული ჰუმანიტარული ტვირთის ღირებულებები ბუღალტრულად. ჰუმანიტარული ტვირთის აღრიცხვა წარმოებდა ყოველწლიურად მხოლოდ სპეციალურ ჟურნალებში, სადაც ასახულია საქონლის მოძრაობა (ჰუმანიტარული ტვირთის მომწოდებლები, მიმღებები, რაოდენობები და მხოლოდ რიგ შემთხვევებში მიღებული და გასული ტვირთის ფასები და ღირებულებები), ხოლო არცერთ შემთხვევაში არ არის ზემოაღნიშნული ჰუმანიტარული ტვირთები აღრიცხული ბუღალტრულად შემოსავლისა და გასავლის ჩვენებით³.

ცვეთის დარიცხვა

- ფინანსური ანგარიშგებისათვის, საბუღალტრო მონაცემებით, 2012 წელს აფხაზეთის არ ეკონომიკის სამინისტროსაგან გადმოცემულ ავტომანქანაზე (vaz 21214, გამოშვების წელი 2005) გადმოცემის დოკუმენტებში არ ფიქსირდებოდა მოცემული ავტომანქანის პირვანდელი ღირებულება და წლის ბოლოს სამინისტროს აპარატის მიერ ცვეთა დარიცხულია ნარჩენი ღირებულების გამრავლებით წლიურ ნორმაზე, მაშინ როდესაც, მოქმედი წესით, ცვეთის გაანგარიშება უნდა მომხდარიყო საწყისი (პირვანდელი) ღირებულების გამრავლებით ცვეთის წლიურ ნორმაზე⁴.
- წლის ბოლოს სამინისტროს ბალანზე რიცხული ავტომანქანის (მერსედეს ბენცი E-320, გამოშვებული 1999 წელს, ძრავის მოცულობა- 3.2) ცვეთის ხარჯი არასწორად არის გაზრდილი 216 ლარით (ცვეთის ხარჯი: საბუღალტრო მონაცემებით -1,560.00 ლარი; საკონტროლო მონაცემებით -1,344.00 ლარი)⁵.

აუდიტის ჯგუფი:



გიორგი ფრუიძე



ბონდო გასვიანი

16 ივლისი 2014 წელი

³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N 1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის და მე-20 მუხლის მოთხოვნები;

⁴ დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 31.12.2002 წლის N439 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნები.

⁵ დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 31.12.2002 წლის N439 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-7 მუხლის (შრიფტი 5008) მოთხოვნები.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ფორმა №1

ორგანიზაციის

ბალანსი

ორგანიზაციის დასახელება

რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატი

ჩაბარების ვადა 20/01/2013წ

ჩააბარა

(ხელმოწერა)

პერიოდულობა: წლიური,

ზომის ერთეული: -----ლარი-----

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით



კოდი	ვალდებულებები და კაპიტალი	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისათ ვის	ნაშთი წლის (ვარტლის) ბოლო
1	2	3	4	5
I. ვალდებულებები				
460	მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100		
470	მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3210		
480	აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3220		
490	ვალდებულებები ბარტერით	3230		
500	გადასახდელი მოგების გადასახადი	3241		
510	გადასახდელი დღგ	3242		
520	გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	3243		
530	სხვა გადასახდელი	3244		
540	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით	3245		
550	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები	3246		
560	შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3251		
570	შტატარგვზე მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3252		
580	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით	3253		
590	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ	3254		
600	დამკირავებლის მიერ ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3255		
610	დამკირავებლის მიერ სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3256		
620	ვალდებულებები ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან დაკავებული თანხებით	3257		
630	გადასახდელი სტიპენდიები	3258		
640	სოციალური დაზღვევის ანაზღაურებები	3259		
650	ვალდებულებები დეპონენტების მიმართ	3260		
660	სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3270		
670	სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3280		
680	გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	3300		
II. კაპიტალი		5100	31546,08	519630,79
690	წმინდა ღირებულება	5210		
700	საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	5220		
710	გაუნაწილებელი მოგება	5230		
720	დაუფარავი ზარალი*		31546,08	519630,79
III. საცნობარო მუხლები				
730	საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები და მათთან დაკავშირებული დანახარჯები	01		
740	პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები	02		
750	გადახდისუნარიო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება	03		
760	ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში	04	512,08	357,28
770	პირობითი მოთხოვნები	05		
780	პირობითი ვალდებულებები	06		
790	საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	07		
800	ამორტიზებული ძირითადი აქტივები	08		
810	ვადგადაცილებული დავალიანებები	09		
820	ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	10	6342,88	12488,22

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

მთავარი ბუღალტერი:

ბ.ა

* აღნიშნული სტრიქონის მონაცემები აკლდება ბალანსის ვალდებულებისა და კაპიტალის ჯამს



ფრანკიზაციის დასახელება ---რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატი-----კოდი 1057

ბატონო: ბაშისძე, ნიკოლოზ

[illegible]

සුභසාගරය

ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

ორგანიზაცია

რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატი

პერიოდი

2012 წლის 31 დეკემბრისათვის

კოდი 1057

ზომის ერთეული: ლარი

1	2	3	4	5	6	7	8
იხილეთ ფურცელი	არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	იხილეთ ფურცელი	იხილეთ ფურცელი	იხილეთ ფურცელი	იხილეთ ფურცელი	იხილეთ ფურცელი	(იხილეთ ფურცელი)
010	1. არაფინანსური აქტივები	31	2500	5552,16	5552,16	5552,16	5552,16
020	1.1 ძირითადი აქტივები	311	2500	5552,16	5552,16	5552,16	5552,16
030	1.1.1 შენობა-ნაგებობები	3111		46322	46321,03	46321,03	46321,03
040	1.1.1.1 საცხოვრებელი შენობები	31111					
050	1.1.1.2 არასაცხოვრებელი შენობები	31112		46322	46321,03	46321,03	46321,03
060	1.1.1.3 საგზაო მაგისტრალები	31113					
070	1.1.1.4 ქუჩები	31114					
080	1.1.1.5 გზები	31115					
090	1.1.1.6 ხიდები	31116					
100	1.1.1.7 გვირაბები	31117					
110	1.1.1.8 საკანალიზაციო და წყლის მომარგების სისტემები	31118					
120	1.1.1.9 ელექტროგადამცემი ხაზები	31119					
130	1.1.1.10 მილსადენები	311110					
140	1.1.1.11 სხვა შენობა-ნაგებობები	311111					
150	1.1.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	3112	1000	7806	7731,13	7731,13	7731,13
160	1.1.2.1 სატრანსპორტო საშუალებები	31121		144	70	70	70

საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო

ფინანსური მართვის
სახელმწიფო

გალანსის დანართი ფორმა #2-2

ორგანიზაციის ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ

კოდი -1057

ორგანიზაციის დასახელება რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატი

ფორმის ერთეული: ლარი

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური 20 წლის

სტრუქტურული ერთეული	ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი	საბუღალტრო აღნიშვნა	საბუღალტრო აღნიშვნა	საბუღალტრო აღნიშვნა	საბუღალტრო აღნიშვნა	საბუღალტრო აღნიშვნა	საბუღალტრო აღნიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8
010	1. ფინანსური აქტივები	32					
020	1.1 საშინაო	321					
030	1.1.1 ვალუტა და დეპოზიტები	3212					
040	1.1.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	3213					
050	1.1.3 სესხები	3214					
060	1.1.4 აქციები და სხვა კაპიტალი	3215					
070	1.1.5 სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	3216					
080	1.1.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3217					
090	1.1.7 სხვა დებიტორული დავალიანებები	3218					
100	1.2 საგარეო	322					
110	1.2.1 ვალუტა და დეპოზიტები	3222					
120	1.2.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	3223					
130	1.2.3 სესხები	3224					
140	1.2.4 აქციები და სხვა კაპიტალი	3225					
150	1.2.5 სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	3226					
160	1.2.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3227					

საქმის დამამტკიცებელი

 2025.09.25

ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

კოდი 1057

ორგანიზაციის დასახელება

რეგისტრირებული მართვის საკითხებში ავტომატური აპარატი

ეროვნული ფილიალი, 2012 წლის 31 დეკემბრისათვის

ზომის ერთეული: ლარი

ნგარიშის №	დებეტი	ჯგუფი	კრედიტი	ჯგუფი
7100	ნაშთი წლის დასაწყისისათვის		ნაშთი წლის დასაწყისისათვის	31546,08
	მომუშავეთა ანაზღაურება	242190,52	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	371992,41
7200	საქონელი და მომსახურება	74249,73	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება პენსიების და დაზარალების გასაცემად	
7300	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	15038,57	შემოსავლები	
7310	მ.შ. ფიზიკური ცვეთა	15038,57	მ.შ. გრანტები	
7400	პროცენტი			
7500	სუბსიდიები			
7600	გრანტები			
7700	სოციალური უზრუნველყოფა			
7800	სხვა ხარჯები			
1300-1400	აქტივების, ვალდებულებების უსასყიდლოდ გასვლა	13993,38	აქტივების ვალდებულებების უსასყიდლოდ მიღება	461564,5
3000	ფინანსური აქტივები		ფინანსური აქტივები	
1600-2000	ფინანსური ვალდებულებები		ფინანსური ვალდებულებები	
8000	არაფინანსური აქტივები		არაფინანსური აქტივები	
3245	სხვა ეკონომიკური ნაკადები		სხვა ეკონომიკური ნაკადები	
3246	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით*			
	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები*			
	საღებეტო ბრუნვა	345472,20	საკრედიტო ბრუნვა	833556,91
	სულ ჯამი:**	345472,20	სულ ჯამი:**	865102,99
	ნაშთი პერიოდის ბოლოს		ნაშთი პერიოდის ბოლოს	519630,79

აღნიშნულ სტრიქონზე აღირიცხება საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მიღებული შემოსავლებიდან და სხვა შემოსულობებიდან ბიუჯეტის კუთვნილი თანხები

* საღებეტო ნაშთის წლის დასაწყისისათვის ემატება საღებეტო ბრუნვა

** საკრედიტო ნაშთის წლის დასაწყისისათვის ემატება საკრედიტო ბრუნვა

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

თავარი ბუღალტერი:



ბალანსის დანართი ფორმა # 4-1

ანგარიში ფულადი გრანტების შესახებ

200 12 წლის დეკემბრის თვის

ორგანიზაციის დასახელება რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპა კოდი -----

პერიოდულობა: კვარტალური, წლიური


ზომის ერთეული: ლარი

	უცხოურ ვალუტაში	ეროვნულ ვალუტაში	სულ თანხა ლარებში		
			გეგმიური	საკასო	ფაქტიური
1 გრანტის მთლიანი მოცულობა					
2 მ.შ მიღებული თანხა					
3 მ.შ სულ დამტკიცებული მოცულობა					
4 მ.შ უკანასკნელი ჩარიცხვა					
1 ნაშთი პერიოდის დასაწყისში					
2 მიმდინარე წლის მოცულობა					
3 სულ (1+2)					
4 ხარჯები					
5 შრომის ანაზღაურება					
6 საქონელი და მომსახურება					
7 პროცენტი					
8 სუბსიდიები					
9 გრანტები					
10 სოციალური უზრუნველყოფა					
11 სხვა ხარჯები					
12 არაფინანსური აქტივების ზრდა					
13 ფინანსური აქტივების ზრდა					
14 ვალდებულებების კლება					
15 სულ მიმდინარე წლის დამტკიცებული მოცულობა					

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

მთავარი ბუღალტერი:

ბ.ა



ფორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ
რთვის საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის

3050 1057

ჭიმის ერთეული: ლარი

2012 წლის -31 დეკემბრისათვის-----თვის

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური--

[illegible]

ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე

ორგანიზაციის დასახელება რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატი კოდი 1057

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური 2012 წლის --1 დეკემბრისათვის ზომის ერთეული: ლარი, ცალი

ანალიზური აღრიცხვის მონაცემები																
დასახელება	საანგარიშო პერიოდის დასაწყისში (რაოდენობა)		საანგარიშო პერიოდში მიღება		საანგარიშო პერიოდში გასვლა		საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (საკასო)				საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (ფაქტური)					
	მუშა მდგომარეობაში ეობაში	არამუშა მდგომარეობაში ეობაში	შეძენა	სხვა სახით მიღება	რაოდენობა	რაოდენობა	ექსპლუატაციიდან გასული	სხვა სახით გასული	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ.სათა დარიგო ნაწილები	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ.სათა დარიგო ნაწილები
1 სატრანსპორტო საშუალება	2								20562,85	1100	16381,85	3081	20562,85	1100	16381,85	3081
1,1 მ.შ. მსუბუქი	1								12286,48	683	9542,48	2061	12286,48	683	9542,48	2061
1,2 ჯიბები და პეკეტები	1			1				1	8276,37	417	6839,37	1020	8276,37	417	6839,37	1020
1,3 სატვირთო																
2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი და სოფისე ტექნიკა	35	2	11	5				9								
სულ:																
2,1 მობილური ტელეფონები																
2,2 ტელეფონები	3															
2,3 კომპიუტერები	9	2	1													

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

მთავარი ბუღალტერი:

ბ.ა

(Handwritten signature)

ასი

ნოხო

